




# სალოგოპროდა ვეროელო

ქართული  
1921 წლის

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.

## გუგინ გაიგარტა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მონვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სესიო



გინი პიპაპის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა)

### რუსეთის სსრ განვარდნის პროკურორს ვალენტინ გიორგის კე სტაპანოვს, გაზეთ „სოვეტსკაია როსიას“ მთავარ რედაქტორს ვ. ვ. ჩიკინს

გაზეთ „სოვეტსკაია როსიას“ 1991 წლის 12 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულია მ. მიხალკოვის სტატია „ბუმერანგი ბრუნდება“. კორესპონდენტი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქიდან გადსაცემს ინფორმაციებს, ფაქტებს, ციფრებს, რომლებსაც, ძალიანაც რომ გვიხდოდეს, დუმილით ვერ აუღვლით გვერდს. გაზეთის კორესპონდენტი მ. მიხალკოვი წერს „...ახლა საქართველოს ლადერი უკვე გამსახურდა ცდილობს დაარწმუნოს მსოფლიო, თითქმის ქართული მილიციის რეგენტი სისხლის სამართლის დამნაშავენი არ ყოფილიყვნენ, ხოლო სამხრეთ ოსეთის ბლოკადაში არავითარი მონაწილეობა არ მიეღოთ ნაციონალისტურ ფორმირებათა „ბოვიეკებს“.

სიცრუეა. 5 იანვარს ამინსტირებული სისხლის სამართლის დამნაშავენი, პირობითად მსჯავრდებულნი და ვადამდე განთავისუფლებულნი გორის სტადიონზე შეკარეს და მილიციის ფორმა ჩააცვეს. ისინი საბჭოური თანამედროვე დამოკლებული ავტომატებით შეაიარაღეს, მათ ხელში აღმოჩნდა აგრეთვე არცთუ ცოტა ისრაული „უზის“ ავტომატები და ჩეხური „სკოპიონის“ პისტოლეტები. შეიარაღებული არაფორმალეების პიკეტები დღემდე არიან საოლქო ცენტრის გარშემო და სოფლებში თამარაშენში, აჩაბეთში, ქუთათში, კეხში, ერედში, ავნიეში...

28 იანვარს ღამით კი თბილისიდან 40 ოსი ეროვნების ადამიანი წაიყვანეს (წინასწარ თვალში აუხვინეს), როგორც ჩანს, გორის რაიონის სოფელ მეღვრეკისის მიმართულნი და იქ დახვრიტეს. საქართველოს დამოუკიდებელი ეურნალისტთა კავშირი სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ ეს ყოველად უსირცხვილო სიცრუეა, რისთვისაც პასუხი უნდა აგონ გაზეთმაც და მასლის ავტორმაც, და რედაქციისაგან და მამტიცებელ საბუთს მოითხოვს. საქართველოს დამოუკიდებელი ეურნალისტთა კავშირის სამდივნო.

### საქართველოს ოფიცერთა კორპუსის საბჭოს განცხადება

1991 წლის 21 იანვარს რესპუბლიკის მთავრობამ რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს ოფიცერთა კორპუსი. საქართველოს ოფიცერთა კორპუსი მიზნად ისახავს გაერთიანოს საქართველოს მოქმედი, თადარიგისა და ვადამდარი ოფიცრები და გენერლები საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, რათა ხელი შეუწყონ რესპუბლიკის თავდაცვას, რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებას, ახალგაზრდა თაობის სპორტულ-მხედრულ აღზრდასა და ტექნიკურ მოზადებას. საქართველოს ოფიცერთა კორპუსის სტრუქტურა შედგება რესპუბლიკის ოფიცერთა კორპუსის საბჭოსაგან და რაიონული (ქალაქის) ორგანიზაციებისაგან. ამჟამად მიმდინარეობს ოფიცერთა კორპუსის რაიონული ორგანიზაციების ჩამოყალიბება. ჩამოყალიბდა და ეროვნული სამსახურის რიგში ჩადგა დუშეთის, ქარელისა და გორის რაიონული ორგანიზაციები. საქართველოს რესპუბლიკაში


რაიონული ორგანიზაციების ჩამოყალიბების დაჩქარება, ამისათვის მიზანშეწონილია რაიონებში შეიქმნას ოფიცრებისაგან საინიციატივო ჯგუფი, რომელიც მიიღებს კონსულტაციას რესპუბლიკის ოფიცერთა კორპუსის საბჭოში მისამართზე: თბილისი, შეგვინკოს ქ. №6, 2-ე სართული, ტ. 99-78-47. რესპუბლიკის ოფიცერთა კორპუსის საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია თადარიგის პოლკოვნიკი ჭეშელა ქუთათელაძე, მოადგილეა — თადარიგის პოლკოვნიკი როზლან ლაკია, პოლკოვნიკი ჰამლეტ გეგენაძე, თადარიგის მაიორი თემურ შიქაუტიძე. საქართველოს ოფიცერთა კორპუსის საბჭო მოგიწოდებთ საქართველოში მცხოვრებ ყველა ოფიცრს და მისი ოჯახის წევრებს 1991 წლის 31 მარტს აქტიური მონაწილეობა მიიღოთ რესპუბლიკის რეფერენდუმში და ხმა მისცეთ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.

სამდივნო

### რეფერენდუმს მიემკვნა

19 მარტს ქარხანა „ცენტროლიტთან“ მოეწყო მიტინგი, რომელიც ორგანიზებული იყო საარჩევნო ბლოკი „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ წევრი-ორგანიზაციის საქართველოს ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირის გლდანის რეგიონული ორგანიზაციის მიერ. მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც დაგმეს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის შენობის პიკეტირების ფაქტი. მიტინგი, ძირითადად, მიემკვნა 31 მარტის რეფერენდუმისა და რაიონული საკრებულოს არჩევნების საკითხებს. მიტინგს ესწრებოდნენ ქარხანა „ცენტროლიტისა“ და „კავკასიელიტროქსელმშენის“ თანამშრომლები, აგრეთვე ადგილობრივი მცხოვრებნი. მიტინგს უძღვებოდა საქართველოს ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირის გლდანის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, ქ. თბილისის 54-ე საარჩევნო ოლქში დასახლებული დეპუტატობის კანდიდატი თ. მამაგვიშვილი. მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ დეპუტატობის კანდიდატები: მ. მირზიაშვილი (ოლქი №49), გ. სამსონიძე (№49), ე. რამიშვილი (№54), ქარხანა ცენტროლიტის მუშა ო. თვარია. მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრმა ა. ქობულაშვილმა.

ა. ალექსანდრიძე



მხატვარი მ. ტაბიძე-გაბანიძე

აფხაზეთში კირველი მარტის პირობებში უფრო ადვილია ვინაისწარმეტყველოთ ხვალინდელი ამინდი, ვიდრე გუშინ დასრულებული საქვეთრო რეფერენდუმის შედეგები. ჭერჯორობით არ არის ხმის მიცემის შედეგების დაუსტებელი მონაცემები. თუმცა, არაოფიციალური მონაცემებით, რეფერენდუმს დადებითი პასუხი გასცა ამომრჩეველთა 60 პროცენტზე მეტმა, მაგრამ პოლიტიკური ვითარება აქ უარესად

## როგორ აქლავდნენ ხმას აფხაზეთში

გამწვავებულია. იგი გამოწვეულია იმით, რომ ცნობილი გახდა კენჭისყრის გამართვის პროცედურის უხეში დარღვევის მრავალი ფაქტი. სსრ კავშირის რეფერენდუმის გამართვებში აფხაზეთის ასრ ცენტრალურმა რესპუბლიკურმა კომისიამ, რომელსაც უწოდდა სასურველი შედეგის მიღება, იმ საბაზით, რომ დაგვიანებით იქნა წარდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტები, რეფერენდუმსა და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის არჩევნებში მონაწილეობისათვის არ დაუშვა მთელი გალის რაიონი — ქართველებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონი და ოჩამჩირის რაიონის ქართული სოფლები. ეს აფხაზეთის ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 20 პროცენტს შეადგენს. ამის გამო სასწრაფოდ გამოთქვა თავისი დამოკიდებულება ფართო საზოგადოებრივობაში. ქალაქ სოხუმის შრომითი კოლექტივის საბჭომ მიიღო მიმართვა სსრ კავშირის პრეზიდენტის მიხედვით გორბაჩოვისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიასადმი, რომელშიც ავტონომიურ რესპუბლიკის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ბრალად ედება ადამიანის უფლებათა და რეფერენდუმის შესახებ თვით სსრ კავშირის კანონის უხეში დარღვევები. ამ დოკუმენტში ნათქვამია ისიც, რომ „სოიუსის“ სადეპუტატო ჯგუფის წარმომადგენლები ხმის მიცემის დღესაც ეწეოდნენ რეფერენდუმის მხარდასაჭერ აგიტაციასა და პროპაგანდას.

შრომითი კოლექტივების საბჭომ მოითხოვა გაუქმდეს ხმის მიცემის შედეგები და ხელახლა მოეწყო რეფერენდუმი უცხოელ მეთვალყურეთა მოწვევით. უარის შემთხვევაში გარდუვალი პროტესტის უკიდურესი ზომები, მასობრივი დაუპირისპირებული ჩათვლითაც კი. ამის დასადასტურებლად რეინგულბმა და საქალაქო ტრანსპორტის მუშაკებმა წინა დღით გამართეს ორსაათიანი გამაფრთხილებელი გაფიცვა. სსრ კავშირის რეფერენდუმის გამართვებში აფხაზეთის ასრ ცენტრალური რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ე. კაპბას განკარგულებამ, რომელიც საარჩევნო უბნებში მიიღეს ხმის მიცემის დღეს, იმათ წინაშე დასახსყალი, ვისაც სურდა გაეყალბებინა ხმის მიცემის შედეგები და ნებისმიერი გზით მიეღწია კავშირის სასარჩევნო ამომრჩეველთა ხმების საჭირო რაოდენობისათვის. ამ დოკუმენტის თანახმად, ამომრჩეველებს ეწოდებოდათ უფლება მხარი დაეჭირათ ან წინააღმდეგი ყოფილიყვნენ კავშირის შენარჩუნებისათვის ნებისმიერ საარჩევნო უბანში, დამატებით სიებით საცხოვრებელი ადგილების მიუხედავად. ამით გამოირიცხა ხმის მიცემისადმი კონტროლის ნებისმიერი შესაძლებლობა და იქმნებოდა ხელსაყრელი ვითარება ერთი და იგივე პირის მიერ სხვადასხვა საარჩევნო უბნებში მრავალჯერადი ხმის მიცემისათვის.

კაპბა ცინცაძე

საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტი



კონტაქტები



პირველი ნაბიჯები გალაიდა

ამერიკის შეერთებული შტატებიდან საქართველოში დაბრუნდა ჩვენი რესპუბლიკის დელეგაცი... რომელსაც უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბატონი აკაკი ასათიანი მეთაურობდა.

ბჭოს შენობაში გამართულ პრესკონფერენციაზე. ბატონმა აკაკი ასათიანმა, დამაკმაყოფილებლად ჩათვალა ვიზიტის შედეგები. აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მაღალი რანგის პირები მზად არიან ურთიერთთანამშრომლობისთვის როგორც პოლიტიკის, ისე ეკონომიკის სფეროში.

სადმი. ამ მოღვაწეებს კვლავ საგრძობი გავლენა აქვთ სახელმწიფოს პოლიტიკური ცხოვრების სფეროში. იყო საუბარი იმაზე, რომ ალბათ, აშშ-ს მთავრობა უახლოეს ხანში, განავითარებს რესპუბლიკებთან ცენტრისგან პარალელურ კავშირებს. ამგვარ კავშირებს კი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება; გაირღვევა ეკონომიკური და საინფორმაციო ბლოკადი, რასაც ჩვენდამი ცენტრი ახორციელებს.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის და საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ გადაწყდა, რომ მალე საქართველოში ჩამოვა მათი დელეგაცია. როგორც ბატონმა აკაკი ასათიანმა, ასევე დელეგაციის წევრებმა, უზენაესი საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ივანე მელიქიძემ განაცხადო, რომ ისინი მზად არიან თვითნებურად მიიწვიონ ჩვენი რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე.

დელეგაციის წევრებმა ისაუბრეს აგრეთვე ვიზიტის დროს წამოტვირთი სხვადასხვა საკითხებისა და პრობლემების გარშემო, უპასუხეს ჟურნალისტთა შეკითხვებს.

სურათგამ: ურნალისტებთან შეხვედრის დროს. საქინფორმის ფოტოქრონიკა



მიუთარი ინსტიტუტის უფროსი მაქსიმე ლეონიძის ქალბატონი ლიანა ბახტაძე. „დარბაზში“ შემაჯავლა კვლევა კვლავ იჭრის თაგის პრეზიდენტი. ამ კვლევების მუშაობის შესახებ საზოგადოებას ვაქცინებთ უახლოეს მომავალში.

საქართველოს ბედი (აგრეთვე სხვა რესპუბლიკების) რომ დიდად იქნება დამოკიდებული იმაზე თუ როგორ პოზიციას დაიკავებს დასავლეთი, აშშ.

ანა შურაღი, „მანდილოსანთა დარბაზის“ ხატოს წევრი.

დღეს, როდესაც დასავლეთის სახელმწიფოები დიდ ფინანსურ და მატერიალურ დახმარებას უწყვენ ე. წ. სსრკ-ს კრედიტების სახით, ისმება კითხვა, ვინ გადამხდის ვალს იმ შემთხვევაში თუ ე. წ. სსრკ დაიშლება. (რაც სავსებით მოსალოდნელია).

ამ განცხადებას არა მარტო ეკონომიკური, არამედ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ექნება; და თუ სხვა რესპუბლიკების პარლამენტებიც იგივეს განაცხადებენ (რაც სავსებით მოსალოდნელია), მაშინ დასავლეთი, აშშ, სხვა ქვეყნები უშუალოდ დაფიქრდებიან თუ ვის აკრედიტებენ, რადგან თუ რესპუბლიკები არ იღებენ ვალდებულებას ე. წ. სსრკ-ს შეთანხმებებზე, მაშინ ე. წ. სსრკ — „შეუქმებელ რესპუბლიკა“ იურიდიული თვალსაზრისით ვერ იქნება გარანტი ვალის გადახდასა.

ამ პროცესებს არა მარტო ეკონომიკური, არამედ უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა გააჩნია საქართველოს რესპუბლიკისათვის და არა მარტო საქართველოსათვის.

თუ მოვლენები ასე განვითარდა (რაც მოსალოდნელია, მაშინ დასავლეთი, აშშ და სხვა ქვეყნები იძულებული იქნებიან შეუწყვიტონ ე. წ. სსრკ-ს დახმარება და საქმე უშუალოდ რესპუბლიკებთან იქნებოდნენ, რაც მოუთხოვს იმპერიის სიცოცხლის გახანგრძლივების წყაროს და მნიშვნელოვნად დააჩქარებს მის რღვევას.

ი. კვანთალიანი

წერილები ახალგაზრდა ივერიელს


61 წელიწადი ვიმუშავე მშენებელ-ინჟინერად, ომის განმავლობაში ციმბირის ღვივიაში ვიმსახურე ინჟინერ-კაპიტანის წოდებით, ასე რომ, მესმის დამცავი ნაგებობების მნიშვნელობა.

ის პირველ რიგში ქართველი უნდა იყოს და შემდეგ რომელიც გნებავთ პარტიის წევრი ან თანამგრობნი.

არჩილ ქანთარია, მცხეთა.

უკვე რამდენიმე კვირაა, რადიოსადგურ „თავისუფლების“ რუსული სამსახურის გადაცემა — „მოვლენები და ადამიანები“, რომლის ერთ-ერთი წამყვანია ჩვენი თანამემამულე კონსტანტინე ნადირაშვილი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კრიტიკის საფარველით, ლაფში სვრის საქართველოსა და ქართველი ხალხის ავტორიტეტს, განსაკუთრებით აქტიურობს რადიოსადგურის კორექციონერის საქართველოში ნინო აბაქელიძის. იგი ამჟამად ერთი პარტიის პოზიციიდან აშუქებს ჩვენში მიმდინარე მოვლენებს. საზოგადოებამ უნდა იცოდეს ოპოზიციის დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხისადმი, მაგრამ აუდიტორიისა (სსრკ-ს მოსახლეობა, უპირატესად რუსულენოვანი) და საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის ვითარებისათვის, ძალიან ზნობად ყოველივე ეს მტრის წინაშე წყლის დასხმას ემსგავსება.

სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საქველმოქმედო საზოგადოების გორის რეგიონალური ორგანიზაციის ინიციატივით შეიქმნა „მანდილოსანთა დარბაზი“, რომლის წევრიც შეიძლება იყოს ქალაქის ნებისმიერი მანდილოსანი, განურჩევლად ეროვნებისა, ასაკისა და მისი პოლიტიკური შეხედულებებისა.



XXIII თაზი
ოჯახი და სახელმწიფო. კოსმოპოლიტიზმი და მისი ცალმხრივობა. პატრიოტიზმი ძველ და ახალ აღთქმაში. მაგალითები მოსეზე, პავლე მოციქულზე და თვით მაცხოვარზე. მოყვასისადმი სიყვარულის კანონიერება.
ჯანსაღი და მტკიცე ოჯახი საზოგადოების და სახელმწიფოს უპირველესი და მთავარი უზრუნველყოფელი და მთავარი ორგანიზებული სახელმწიფოც კი კინდდება და იშლება, თუ მასში დარღვეულია ოჯახი, არ არის ოჯახური ცხოვრების და აღზრდის მტკიცე საფუძვლები. და პირიქით, თუ ოჯახი მტკიცეა და აღზრდა სწორი, მაშინ სახელმწიფოებრივი ცხოვრების ფორმების გარანტიული რღვევის დროსაც კი ხალხი სიცოცხლისუნარიანი რჩება და შეუძლია აღადგინოს სახელმწიფოს ძალა და ერთიანობა.
უნდა გვახსოვდეს, რომ ქრისტიანული ოჯახი არ უნდა იყოს მთლანად თავის თავში ჩაკეტილი; იგი არ უნდა გადაიქცეს „საბუდარად“, ასეთი ცხოვრება ოჯახური ეგოიზმით ცხოვრებაა. ადამიანს, რომელიც ასე ცხოვრობს, თავის ოჯახის გარდა, არავითარი ინტერესი არ გააჩნია, მას არაფრის გავონება არ სურს გარე სამყაროს სიხარულსა და მწუხარებაზე და არაფრით ემსახურება მას. რაღა თქმა უნდა, ასეთი ცხოვრება არ არის ქრისტიანული ცხოვრება და ასეთი ოჯახი — ქრისტიანული ოჯახი. როგორც უკვე ვთქვით, ქრისტიანული ოჯახი არის ერთიანი საზოგადოების უზრუნველყოფელი, მისი ნაწილი, რომელიც მტკიცედ არის დაკავშირებული მთლიანობასთან. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ემსახურება მოყვასს, მუდამეხმარება თანაუგრძობს და შეძლებისდაგვარად ეხმარება მას.
მაგრამ ესეც ცოტაა. წმიდა სახარების მიხედვით, ქრისტიანის ურთიერთობები არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ოჯახური ჩარჩოებით, არც სამშობლოთი და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემებით. თავისი სიყვარულებით, ქრისტიანობა ზოგადსაქოცობრივია. ყველა ადამიანი, მიუხედავად მისი ეროვნებისა, ქრისტიანისთვის არის მოყვასი და მაცხოვრის მცნების მიხედვით, მას უნდა უყვარდეს იგი ამის შესახებ ცხადდებულ მტკიცელებს იგივე მოწყალე სამართიანობის შესახებ. (განსაკუთრებით ის ნაწილი, სადაც იგავის ძირითადი არსია ჩამოყალიბებული). ამ იგავში იესო ქრისტემ იუდეველ მწიგნობარს დაანახა თუ როგორი სიკეთითა და სიყვარულით მოეპყრო მოწყალე სამართიანი დაქრილ და გაძარცვულ იუდეველს — იმ ეარის შეიღს, რომელიც სამართიანობას დევნიდა.
შემდეგ მაცხოვარმა მწიგნობარს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ვიდოდე და ჰყოფდე შენცა აგრეთვე“; ასეთია მცნება ქრისტიანული სიყვარულისა. და თუკი ჩვენ, ქრისტიანები,



# იღუმენი ფილარეტი — „სწავლითი ღვთისმეტყველების კონსექტი“

ასეთი ყოვლისმომცველი სიყვარულისთვის ვართ მოწოდებულნი, ვანა მაშინ შესაძლოა გავამრავლოთ კოსმოპოლიტიზმი, რომლის მიხედვითაც ერთა შორის ძმობა ისეა გაგებული, თითქოს ადამიანი არის მოქალაქე მთელი სამყაროსი და არა თავისი ქვეყნისა. ამ მოძღვრების მიხედვით, კაცობრიობას არ უნდა ჰქონდეს სახელმწიფოებრივ-ეროვნული განსხვავება და დანაწევრება და ერთ მთლიან ოჯახს უნდა წარმოადგენდეს.

უდავოა, რომ კოსმოპოლიტიზმი თავის სწავლების დადებით ნაწილში უახლოვდება ქრისტიანობას. ცხადია, მისგანვე გადაიღო მან ძმობის, სიყვარულისა და ურთიერთდახმარების ქეშმარიტად ქრისტიანული მოწოდებანი.

კოსმოპოლიტიზმში თუკი რამ ფასეულია, მხოლოდ ქრისტიანობისგანაა ნასესხები. მაგრამ ამ სიბარბელს მან შეურია მრავალი მახინჯი, საძაგელი სიტყუე და ცდომილება, რომელთა წყალობითაც მისი სწავლება ვიწრო, ცალმხრივი და ხელოვნური და ამიტომაც, არაცხოვრებისეული შეიქმნა. ამგვარი ცდომილებაა მისი დასკვნები პატრიოტიზმის გრძნობის წინააღმდეგ და სამშობლოს კეთილდღეობისა და უსაფრთხოების მოვალეობის შესახებ, რაც უპირისპირდება მართლმადიდებლურ სწავლებას. ყველასთვის არის ცნობილი, თუ როგორი გულქვა და თანაგრძნობის უნარს მოკლებული არიან კოსმოპოლიტიზმის სიტყვამრავალი მქადაგებლები. ისინი თავგამოდებით გაჰყვირიან ადამიანთა მიმართ თავიანთ სიყვარულზე, მაგრამ არ ძალუძთ სიყვარული მოყვასისა, რაც ყოველი ადამიანის სიყვარულს გულისხმობს, რომელსაც ღვთის განგება შეგახვედრებს ცხოვრების გზაზე და რომელსაც ხშირად თანაგრძნობა და მხარში ამოდგომა სჭირდება. ქრისტიანობას არ ახასიათებს კოსმოპოლიტიზმის ამგვარი ცალმხრივობა. ქრისტიან კაცობრიობის მიმართ ხელოვნური სიყვარულის მცნება კი არ მისცა ადამიანს, არამედ მცნება მოყვასის სიყვარულისა. ქრისტიანისთვის მოყვასია საერთოდ ყველა ადამიანი (ამიტომაც უნდა უყვარდეს ქრისტიანს ყოველი კაცი) და საკუთრივ კი ის ადამიანი, რომელსაც იგი ყოველდღიურ ცხოვრებაში ხედავს. ქრისტიანული სიყვარული ყველაზე მეტად ამ პირად შეხვედრებში, ცოცხალ ურთიერთობებში, ურთიერთდახმარებასა და თანაგრძნობაში ვლინდება. რა შორს არის ამისგან კოსმოპოლიტიზმის ცალმხრივი სწავლება, მისი ხელოვნური, ცხოვრებისგან მოწყვეტილი მოწოდებები „კაცობრიობისადმი“ სიყვარულის შესახებ!

ბავშვობაში ადამიანისათვის მოყვასი არის დედა, მამა, და-ძმა და საერთოდ, ნათესავები. ეს ამ ასაკში მისთვის სრულიად საკმარისია, რომ იგი კეთილი,

მოსიყვარულე, გულისხმიერი და ოჯახის ერთგული წევრი იყოს. მაგრამ როგორც სჩანს, მისთვის ჯერ კიდევ მიუწვდომელია სხვა ადამიანებისადმი სიყვარულის მცნება, სიყვარული მათ მიმართ, ვინც არ არის მისი ოჯახის წევრი, ბავშვს არა აქვს არანაირი უშუალო ურთიერთობა ასეთ პირებთან, ამიტომ ისინი მისთვის „უცხონი“ არიან. ასაკის მომატებასთან ერთად, სიყმაწვილისა და სიჭაბუკის ხანაში, იგი ამყარებს პირად, ცოცხალ ურთიერთობებს მრავალ ადამიანთან, რომლებიც მისი ახლობლები ხდებიან. ამ დროს სჭირდება მას სწორი აღზრდა, რომლის დახმარებითაც იგი სწავლობს ახლადშეძენილ „თავისიანებთან“ ქრისტიანულ ურთიერთობას, მეგობრულ, კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას, გულწრფელი დახმარების სურვილსა და შეძლებისდაგვარად მხარდაჭერას. თუმცა, ყველაზე ახლობელ ადამიანებად მისთვის კვლავინდებურად ახლო ნათესავები რჩებიან. მხოლოდ მაშინ, როცა ქრისტიანი ხდება სრულწლოვანი და მისი განვითარება სრულდება, როცა ფართოვდება მისი პერიფერია, მოყვასი ხდება მისთვის ყოველი ადამიანი, მიუხედავად ეროვნებისა. მაგრამ უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად მას უყვარს თავისი ოჯახი, ნათესავები, ვისთანაც იგი იზრდებოდა და ცხოვრობდა, შემდეგ თავის ქვეყანა, თავის ერი, რომელსაც ეკუთვნის, რომელთანაც არის იგი დაკავშირებული ყველა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და მოქალაქეობრივი მოვალეობის გრძნობით. მშობელი ერის კულტურა, წეს-ჩვეულებები, განმასხვავებელი ნიშნები, განსაკუთრებით მისი სიწმიდენი. ადამიანისთვის უადრესად „მშობლიურია“. მას უყვარს თავისი ერი, თავისი სამშობლო და სწორედ სამშობლოს ამგვარი სიყვარული არის ის ქრისტიანული პატრიოტიზმი, რომლის წინააღმდეგაც, ასე თავგამოდებით იბრძვიან კოსმოპოლიტები თავიანთი მცდარი შეხედულებებით. ქრისტიანული პატრიოტიზმისათვის, რაღა თქმა უნდა, უცხოა ის უკიდურესობები და შეცდომები, რომლებსაც უშვებენ ისინი, ვინც თავის თავს „პატრიოტს“ უწოდებს. ქრისტიან პატრიოტს უყვარს თავისი ერი, მაგრამ თვალს არ ხუჭავს მის ნაკლოვანებებზე და საღად აფასებს მის ნაციონალურ თავისებურებებს და დამახასიათებელ ნიშნებს. ამის გამო იგი არასდროს დაეთანხმება იმ პატრიოტებს, რომლებსაც მიდრეკილება აქვთ განადიდონ ყველაფერი მშობლიური (ეროვნული) მანკიერებები და ნაკლიც კი — ლოთობა, ბილწსიტყვაობა და ა. შ.), კანონიერ და კეთილ მოვლენად მიიჩნიონ ისინი. მათ აღარ ძალუძთ დანახვა იმისა, რომ ეს უკვე პატრიოტიზმი კი არა, არამედ გაბერილი ნაციონალური სიამაყეა, ანუ ის ცოდვა, რომლის წინააღმდეგაც იბრძვის

ქრისტიანობა. არა, ქეშმარიტი პატრიოტი თვალს არ ხუჭავს თავისი ერის ცოდვებსა და ნაკლოვანებაზე: იგი ხედავს, განიცდის, ებრძვის მათ, ინანიებს ღვთის წინაშე საკუთარ და თავისი ერის ცოდვებს. გარდა ამისა, ქრისტიანული პატრიოტიზმისთვის სრულიად უცხოა სხვა ერების სიძულვილი. თუ მე მიყვარს ჩემი სამშობლო, რატომ არ უნდა მიყვარდეს ჩინეთი, თურქეთი ან ნებისმიერი სხვა ქვეყანა და ერი?! მაშინ ეს სიყვარული არაქრისტიანული გრძნობა იქნებოდა. ღმერთმა მისცეს მათაც კეთილდღეობა და წარმატება. ჩვენ ხომ ერთი მამის შვილები ვართ.

პატრიოტიზმის სასარგებლოდ პირველყოვლისა მოწმობს წმიდა წერილი. ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში ებრაელთა ხალხის მთელი ისტორია ადასტურებს მათ სიყვარულს სიონისადმი, იერუსალიმისადმი, იერუსალიმის ტაძრისადმი. ეს იყო ქეშმარიტი პატრიოტიზმის, საკუთარი ერისა და მისი სიწმინდეების სიყვარულის საუკეთესო მაგალითი. სწორედ ამიტომ გადაიღო ქრისტიანულმა ეკლესიამ თავის ღვთისმსახურებაში ებრაელთა მიერ მათი სიწმიდეების ქება-დიდება (თუმცა, რასაკვირველია, რამდენადმე განსხვავებული, ქრისტიანული გაგებით): „კურთხეულ არს უფალი სიონით გამო, რომელი დამკვიდრებულ არს იერუსალემს“. ძველ აღთქმაში საკუთარი ერის სიყვარულის გასაოცარი მაგალითი გვიჩვენა მოსე წინასწარმეტყველმა, როდესაც ებრაელმა ხალხმა აღთქმის დადებისთანავე უღალატა ღმერთს და ოქროს ბზოს სცა თავყვანი, აღენთო ღვთიური ქეშმარიტების რისხვა. მოსე ევედრებოდა ღმერთს ცოდვილი ხალხისთვის. ორმოცი დღე და ორმოცი ღამე არ ჩამოსულა იგი მთიდან, სადაც ლოცულობდა. უფალი ეუბნებოდა მას: „და აწ მიტევე მე და განვრისხნე გულისწყრომითა დიდითა და აღვბოცნე ივინი“ (გამ. 32, 10). ღვთის ამ სიტყვებში მოსჩანს მოწმობა იმ ძალის შესახებ, რომელიც მართალი ადამიანის ლოცვას აქვს; ამ ძალით მოსემ, იოანე ოქროპირის სიტყვისამებრ, თითქოს შეაკავა უფალი. კიდევ უფრო მხუთვალედ დაიწყო ევედრება დიდმა წინასწარმეტყველმა ღვთის წინაშე და ბოლოს შეჭალადა უფალს; „მი-თუ-უტევებ ცოდვათა მათთა მიუტევენ, უკეთუ არა, აღმხოცე მეცა წიგნისაგან მისგან, რომელსა დამწერე“. უფალმა ისმინა მოსესი და არ მოისურვა ამგვარად მათი მოსპობა. ვანა ეს არ არის თავგანწირული პატრიოტიზმის უდიდესი მაგალითი? ახალ აღთქმაში მსგავს მაგალითს იძლევა პავლე მოციქულის ცხოვრება. მას არავინ ებრძოდა იმგვარი გაბოროტებითა და სიჯიუტით, როგორც მისივე თანამემამულენი, ქრისტიანები. მათ სთუღდათ პავლე, მამათა რწმენის მოლატერდ მიიჩნევდნენ მას. აი, რას ამბობს მოციქული თავის

თანამემამულეთა შესახებ: „რამეთუ ვილოცევედ მე შეჩუენებულ-ყოფად თავსა ჩემსა ქრისტესგან ძმათა ჩემთათვის და ნათესავთა ჩემდა ხორციელად“ (რომ. 9, 3). ამ სიტყვებით ჩანს მისი სიყვარული მშობელი ერისადმი. ეს სიყვარული იმდენად ძლიერია, რომ იგი მზადაა მოსეს მსგავსად თავის პირადი მარადიული ცხოვრება-კი გასწიროს (და არა მხოლოდ ქამიერი სიცოცხლე) თავის ხალხის გადასარჩენად.

და აი, თვით მაცხოვრის მაგალითიც: სახარებაში კეთილდღეობით, რომ იგი პირველ ყოვლისა, თავის ხალხთან მოვიდა. იესო ქრისტე მიმართავს იერუსალიმს: და ამბობს: „იერუსალიმ, იერუსალიმ, რომელმან მოსწყვიდეს წინასწარმეტყველნი და ქვა, დაჰკრიბე მოვლინებულთა შენდა, რადენ გზის მიწა შეკრება შეილთა შენთა, ვითარცა სახედ მფორნველმან თვსნი მართუენი ფრთეთა ქუეშე, და არა იხებეთ! (ლუკა 13, 34). ხოლო როცა იესო ქრისტე იერუსალიმში შედიოდა მას „ოსანას“ ძახილით ეგებებოდნენ, როცა აღფრთოვანებით ზეიმობდა მთელი ხალხი, მაცხოვარი ტიროდა... იგი ტიროდა არა საკუთარი აღსასრულის გამო, არამედ დასტიროდა თავის ქალაქს, მათ ვინც ახლა „ოსანას“ უგალობდა და რამდენიმე დღის შემდგომ ილაღადებდა: „ჯვარს აცუ ეგე“. ამგვარი, ღრმა, გრძნობიარე სიყვარულით უყვარდა მას თავისი ხალხი.

ამგვარად, ქრისტიანობა არ უარყოფს და არ გამოხს პატრიოტიზმის გრძნობას. იგი არც მშობლებისა და ახლობლებისადმი უპირატესი სიყვარულის წინააღმდეგია. მიუხედავად მცდარი შეხედულებისა, ჩვენ უკვე ვიცით მოციქულის სიტყვები: „უკეთუ ვინმე თვისთა და უფროსთა სახელთა არა მოლუაწე იყოს, სარწმუნობა უარ-უყოფიეს და არს იგი ურწმუნოსა უძვირეს“ (1 ტიმ. 5, 8).

როდესაც მოციქული ადამიანის ეკლესიის მსახურად არჩევის შესახებ საუბრობს, ბრძანებს, რომ ის, ვისაც ამზადებენ ამ საიდუმლოსათვის, უნდა იყოს „თვისისა სახლისა კეთილ-განმგებელ, შეიწმინდა უსხენ დამორჩილებულნი“ (1 ტიმ. 3, 4). მაგრამ კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს სიყვარული და ზრუნვა არ უნდა იყოს ეგოისტური, კარჩაკეტილი.

როდესაც ქრისტიანი ზრუნავს მათზე, ვისთანაც არის დაკავშირებული, არასოდეს უნდა დაივიწყოს სხვა ადამიანები — თავისი მოყვასნი და ქრისტესმიერი ძმები. და დასასრულ, მოვიყვანოთ ისევ პავლე მოციქულის სიტყვები: „აწ უკუე ვიდრე ეამი გუაქს-ლა, ვიქმოდით კეთილსა ყოველთა მიმართ, ხოლო უფროსად სახლელთა მათ მიმართ სარწმუნოებისათა“ (გალატ. VI, 1-ა).

საქართველოს  
ბიზნეს-საბანკო

ითარგმნა თბილისის სახელმწიფო აკადემიის ქრისტიანული ანთროპოლოგიის კათედრაზე.  
იბეჭდება მამა პრიცილის რეკომენდაციით.







საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს  
თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიას  
საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურ  
საარჩევნო კომისიას

### ბატონო ზვიად!

ამ ბოლო დღეებში ბევრი ინ-  
ვალური დაგვიკავშირდა ტელეფონით,  
ხოლო ვისაც შეეძლო, პირადად  
მომხილნენ ჩვენი კავშირის  
რეზიდენციის ა. წ. 31 მარტის  
რეფერენდუმთან დაკავშირებით.

საქმე ის არის, რომ, შეიძლება  
(და საამისო პრეცედენტი მრავალი  
აქვს) იყოს შარშანდელი 28 ოქტომბრის  
არჩევნების) რესპუბლიკაში  
მცხოვრებმა ათასობით მწიფე  
და მარტოხელა ადამიანმა, თავისი  
ფიზიკური მდგომარეობის გამო,  
ჩვენი ერისა და ქვეყნის ბედისათვის ამ უაღრესად  
მნიშვნელოვან აქციაში ვერ შესძლოს  
მონაწილეობის მიღება, რაც მათ  
მოუხსნობს შესაძლებლობას  
მხარი დაუჭიროონ საქართველოს  
რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს  
კურსს, ჩვენი სამშობლოს  
ერთგულ-სახელმწიფოებრივი  
დამოუკიდებლობის აღდგენისათვის  
ბრძოლას.

სწორედ ამიტომ სრულიად საქართველოს  
ლეთის შვილთა კავშირის ხელმძღვანელობის მიზანშეწონილად  
მიაჩნია შექმნას 31 მარტის  
რეფერენდუმის ჩატარების ხელშეწყობის  
ლეთის შვილთა კავშირის კომიტეტი,  
რომლის თავმჯდომარე იქნება კავშირის  
პრეზიდენტი. მოგმართავთ თხოვნით,  
რომ მოგვანიჭოთ შესაბამისი უფლებამოსილება.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ჩვენი  
კავშირის რეგიონულ, რაიონულ, ზონალურ  
და საქალაქო ორგანიზაციებს ევალება  
ყოველმხრივ შეუწყონ ხელი აღნიშნულ რეფერენდუმის  
წარმატებით ჩატარებას რესპუბლიკის  
რეგიონებში. ღმერთი იყოს ჩვენი  
მფარველი! გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

### პატივისცემით

**ზაზა სინარულიძე,**  
სრულიად საქართველოს დემოკრატიული  
საქართველოს ღმერთის შვილთა კავშირის  
(ინვალიდთა ასოციაცია) პრეზიდენტი.

## თურქეთში ვამსჯელთა საყურადღებოდ

სატრანსპორტო ფირმა „ბლოკუსი“ აწარმოებს თურქეთში  
იმ ვიზიტორულ მოქალაქეთა გადაყვანას, რომელთაც აქვთ  
პასპორტი და თურქეთის საკონსულოს ნებართვა მარშრუტით  
**თბილისი - სტამბული - თბილისი და თბილისი - ტრაპიზონი - თბილისი** იკარუსის მარკის  
კომფორტაბელური ავტობუსებით.

სტამბულში მიმავალი ავტობუსები გააკეთებენ შეჩერებებს:  
**რიზაში, ტრაპიზონში, ვანში.** სტამბულში ყოფნის  
ხანგრძლივობაა სამი დღე. ტრაპიზონში მიმავალი ავტობუსები  
გააკეთებენ შეჩერებებს: **სოფაში, რიზაში.** ტრაპიზონში  
ყოფნის ხანგრძლივობაა ორი დღე.

დაწერილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ფირმა  
„ბლოკუსი“ მისამართზე: **ბანგაზას 3. (საბჭოს 12-თან).**  
ელსმენი: 96-94-49

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

## სამგორკელთა ნობათი



იმ ორგანიზაციათა რიცხვს, რომელთაც ხანდაზმული ინვალიდების  
ჭირვარების გაზიარების სურვილი გამოთქვას, ქალაქის სა-  
მგორის სახალხო განათლების ქსელის შრომითი კოლექტივები შე-  
უერთდნენ. ამ უკანასკნელთა მოსაკითხს ჩვენს ყველაზე უკონულ  
თანამოქალაქეებს ასოციაცია „კათარზისის“ სათნოების ორდენის  
წევრები ამ შაბათს ბინებზე მიაწვდიან.

სათნოების ორდენი აუმა-  
ნიტარული ასოციაცია „კათარზისი“

სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება  
ღრმა მწუხარებით იწყობა, რომ ოსმა ემსტრამისტიზმა გან-  
საკუთრებული სისასტიკით მოკლეს სამაჩაბლოს გვამდრნი  
— მერაბ ვინდიაშვილი, ვახტანგ ელაბაძე, ზვიად ხაპალი,  
ნუგზარ კასრაძე და სამიძიარს უცხადებს დაღუპულთა ოჯა-  
ხებს.

სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება.

## მრავალდარგობრივი ფირმა „ალიანსის“ განცხადება

ახალგაზრდულ ქრისტიანულ-დემოკრატიული ასოციაციის ბათუმის ორგანიზაციასთან  
შექმნილია მრავალდარგობრივი ფირმა „ალიანსი“, რომელიც დაფინანსებს ასოციაციას,  
რათა მან გასწიოს ფართო ქრისტიანული საქველმოქმედო საქმიანობა აჭარაში.

ფირმა „ალიანსი“ თავის მოღვაწეობაში გადადგა პირველი ნაბიჯი. დაწყებულია  
საქართველოს ყველა აეროპორტიდან ნებისმიერი მიმართულებით მიმავალი მგზავრების  
დაზღვევა. შემოსული თანხის ნაწილი მოხმარდება ტექნიკური უსაფრთხოების გაუმჯობესებას.  
ფირმა „ალიანსი“ მადლობას უხდის საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს,  
საქართველოს აეროპორტებისა და ცენტრალური ავიასაღაროების ხელმძღვანელობას  
საქმიანი თანამშრომლობისათვის.

სარეკლამო სააგენტო  
„არგო-ბლიკი“

## რეკლამა

## სტკ „ნეიტრინო“ აწარმოებს თანამედროვე სატელევიზიო სადგურების მონტაჟს.

გადაცემული სიგნალი კოდირებულია და მისი გაშიფრვა პრაქტიკულად შეუძლებელი.  
სტუდიაში დამონტაჟებული კომპიუტერი გვაწვდის ინფორმაციას ურჩი გადახდელის  
შესახებ და საჭიროების შემთხვევაში გამოურთავს მას ჩვენს მიერ გადაცემულ სიგნალს.  
გადაცემის ხარისხი და მიღების მაქსიმალური მანძილი გარანტირებულია.

### ჩვენთან თქვენ შე იკავით

## ყველაზე იაფად საქართველოში

დასავლეთ გერმანული ან ამერიკული წარმოების-კომპიუტერებს, ლაზერულ პრინტერებს,  
ფაქსებს, სკანერებს, ტელეგრაფების მოდემებს და სხვა ციფრულ მოწყობილობებს.  
შემკვეთთან მოწყობილობის მიტანა ხდება 10 დღის განმავლობაში.

ჩვენი მისამართია: რუსთავი, რუსთაველის 20, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა  
საქალაქო საბჭო-სტკ „ნეიტრინო“. ტ.: 14 23 10 .10-დან 13-სთ-მდე, 15-დან 16-სთ-მდე.

## რეკლამა

# ოქტომბერი

## მოქალაქეთა და ორგანიზაციათა საყურადღებოდ!

### ინჰარეთი უნიონით „ივანტაანის“ აქციები!

აქციები დაიცავს თქვენს სახსრებს მოსალოდნელი ფულადი ანაზღაურებისა  
და ფონდების ანგარიშზე გაყინვისაგან აქციები უნიონით რო-  
გორც ნაღდ ანგარიშზე ისე გადაიტაცებით. აქციების ნომინალური ღირებუ-  
ლება ათასი მანეთი, ათი ათასი და ასორგოდნაათი ათასი მანეთი.

აქციების შექმნაში უპირველესობა ენიჭება „ივანტაანის“ კლიენტებსა და  
მეანაზღაურებს!

ინჰარეთი გაყინულ ანაზღაურს უოველთვის ჯოგია ვოქრავი აქციები!

ინჰარეთი უოველწლიურად თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ არანაკლებ 10%  
მოგება (დივიდენდები)!

ჩვენი მისამართია: 380008 ქ. თბილისი ჯორჯიაშვილის ქ. 14.

ტელეფონი: 99-52-40, 99-57-21.

**ხალხმირა**  
კვირული  
Общество - Волжская  
газета

ტელეფონები: მისაღება — 99-97-81;  
პაუზისთვის მღერა — 99-51-59;  
წერილების განყოფილება — 99-99-49.

საქართველოს ურბან-განათლების გამომცემლობა „სამშობლოს“ ტბაში, თბილისი,  
წ. კობახიძის 14, იბეკდება ოფსეტური წიხით ხაგავეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.  
№ 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15

გაზეთი გაყიდვით კვირავს ხაგავეთო  
სამშობლოს ურბანულ ტბაში.  
რედაქციაში შემოსული წერილები ავტო-  
მატურად უკან არ უბრუნდება.

ჩვენს ინდექს 68400

რედაქტორი  
მერაბ პალაჩიშვილი

რედაქციის მისამართია  
ქ. თბილისი — 380096.  
მ. კოსტავას ქ. № 14.